ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება

N 47 1125
20/07/2017

1125-47-4-201707201725

ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხიის საჯარო სკოლის ძველი შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ვადის გაგრძელების შესახებ

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხიის საჯარო სკოლის დირექტორის წერილი სადაც აღნიშნულია, რომ ვერ მოესწრო დემონტაჟის სამუშაოების დასრულება და ითხოვს ვადის გაგრძელებას.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თავი XI მუხლი 57-ე შესაბამისად ობიექტი ექვემდებარება ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუგრძელდეს დემონტაჟის ვადა ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხიის სკოლის ძველ შენობა-ნაგებობებს.
2. დემონტაჟის სასრულების ვადა განისაზღვროს 2017 წლის 31 აგვისტო.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს (ს. უგრეხელიძე).
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

რობიზონ გვენეტაძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი